158

010407/10/114-2

**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**
**ხელშეკრულება №**

45262310
45431200

**ქ. თბილისი** **07 აპრილი 2011 წელი**

ერთის მხრივ ქ. თბილისის მერია (შემდგომში – შემსყიდველი), ქ. თბილისის მერის მოადგილის ტარიელ ხიზანეიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „რონინი სიტი", (შემდგომში – მიმწოდებელი) მისი დირექტორის ეკატერინე მაზმიშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე-10[1] მუხლის III პუნქტის ბ ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## მუხლი I. ხელშეკრულების საგანი

1.1.ხელშეკრულების საგანია ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ქ. თბილისში, შსს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს I განყოფილების მშენებარე შენობის ფასადის ფრაგმენტების ბაზალტისა და გრანიტის ფილებით მოპირკეთების და შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე რკინა-ბეტონის კიბის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.
1.2.ხელშეკრულების ობიექტია: ქ. თბილისში, შსს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს I განყოფილების მშენებარე შენობის ფასადის ფრაგმენტების ბაზალტისა და გრანიტის ფილებით მოპირკეთება და შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე რკინა-ბეტონის კიბის მოწყობა.

## მუხლი II. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1.შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრა ლარებში.
2.1.1. ქ. თბილისში, შსს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს I განყოფილების მშენებარე შენობის ფასადის ფრაგმენტების ბაზალტისა და გრანიტის ფილებით მოპირკეთება – **46624.63** (ორმოცდაექვსი ათას ექვსასოცდათხი ლარი და 63 თეთრი) ლარი, ყველა გადასახადის ჩათვლით;
2.1.2. ქ. თბილისში, შსს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს I განყოფილების მშენებარე შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე რკინა-ბეტონის კიბის მოწყობა – **16658.06** (თექვსმეტი ათას ექვსასორმოცდათვრამეტი ლარი და 06 თეთრი) ლარი, ყველა გადასახადის ჩათვლით;
2.2.შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **63282.69** (სამოცდასამი ათას ორასოთხმოცდაორი ლარი და 69 თეთრი) ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით.
2.3. შესასრულებელი სამუშაოების მოცულობისა და ღირებულების დეტალური აღწერა თან ახლავს წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

## მუხლი III. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესრულებული სამუშაოების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
3.2.შესასრულებელი სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

## მუხლი IV. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

4.1.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა:
4.1.1. ქ. თბილისში, შსს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს I განყოფილების მშენებარე შენობის ფასადის ფრაგმენტების ბაზალტისა და გრანიტის ფილებით მოპირკეთება და შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე რკინა-ბეტონის კიბის მოწყობა – **ხელშეკრულების გაფორმებიდან 2011 წლის 03 მაისი.**
4.2.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისში, შსს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს I განყოფილების მშენებარე შენობის მიმდებარე ტერიტორია;


386
6 / 5 / 2011

## მუხლი V. თანმდევი მომსახურება

მიმწოდებელმა სამუშაოს დასრულების შემდეგ, თავისი ძალებითა და სახსრებით უნდა გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, ასევე სამშენებლო ნარჩენებისაგან.

## მუხლი VI. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება

6.1შესყიდვის ობიექტის მიღება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
6.2ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირ(ებ)ს წარმოადგენს: ა) ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის თანამშრომელ(ებ)ი.

## მუხლი VII. ანგარიშსწორება

7.1.შესრულებული სამუშაოების ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან **არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში;**
7.2.მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.
7.3.შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.
7.4. ანაზღაურების ადგილი ქ. თბილისი.

## მუხლი VIII ფასები

ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

## მუხლი IX. მხარეთა უფლება-მოვალეობები

9.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
9.2 შემსყიდველი ვალდებულია:
9.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
9.2.2.ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;
9.2.3.ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.
9.2.4. წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.
9.3. შემსყიდველს უფლება აქვს:
9.3.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;
9.3.2. ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტს;
9.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
9.4.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
9.4.2. სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალები, აღჭურვილობა და მექანიზმების მოწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ საკუთარი შესაძლებლობებით და რესურსებით და მიმწოდებელი პასუხისმგებელი უნდა იყოს აღნიშნული მასალების, აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე. ხსენებული მასალების დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული რისკი ეკისრება მიმწოდებლს.
9.4.3. მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში მათ მიღებამდე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.
9.4.4. მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.

9.4.5. ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები სამუშაო ობიექტზე.
9.4.6. სამუშაოების დასრულების შემდეგ 1 **(ერთი)** წლის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია მათი მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით;
9.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:
9.5.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება;

## მუხლი X. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
10.2.თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
10.3.ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
10.4.ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
10.5.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

## მუხლი XI. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

## მუხლი XII. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

სამუშაოების შესრულების ვადის ცვლილების უფლება მიმწოდებელს შეიძლება მიეცეს შემსყიდველის თანხმობით:
1. "ფორს-მაჟორული" სიტუაციების ან სხვა ობიექტური მიზეზების შემთხვევაში;
2. გაუთვალისწინებლად ცუდი კლიმატური პირობების შემთხვევაში;

## მუხლი XIII დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## მუხლი XIV გაუთვალისწინებელი გარემოებები („ფორს-მაჟორი")

14.1.ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
14.2.ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და
შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## მუხლი XV. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

15.1 შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
15.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.
15.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
15.6. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.2 პუნქტში აღნიშნული პირ(ებ)ი.

## მუხლი XVI. სხვა პირობები

16.1.ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
16.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.
16.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
16.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
16.5.წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

## მუხლი XVII. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
|---|---|
| ქ. თბილისის მერია | შპს "რონინი სიტი" |
| _____ | _____ |
| ტარიელ ხიზანეიშვილი<br>მერის მოადგილე | ეკატერინე მაზმიშვილი<br>დირექტორი |
| ქ. თბილისის მერია<br>ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7<br>სს "ლიბერთი ბანკი"<br>ბანკის კოდი: LBRTGE22<br>საიდ. კოდი: 204521794<br>ა/ა: GE95LB0125152101627000 | შპს "რონინი სიტი"<br>ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №48ბ<br>სს "საქართველოს ბანკი"<br>ბანკის კოდი: BAGAGE22<br>საიდ. კოდი: 206 280 898<br>ა/ა: 192829800 |

შპს "რონინი სიტი" * LTD * 206280898 * GEORGIA "RONINI CITY"

**ქ. თბილისში, შსს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის I განყოფილების მშენებარე შენობის ფასადის ფრაგმენტების ბაზალტისა და გრანიტის ფილებით მოპირკეთება**

**ტექნიკური დავალება**

| № | სამუშაოს დასახელება | განზ. ერთ. | რაოდენობა | ერთეულის ფასი | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1 | კედლების გაბურღვა და ანკერების ჩამაგრება 1 $მ^2$-ზე 6 ცალი (130*6) | ცალი | 780 | 1,50 | 1 170,00 |
| 2 | გრანიტის ფილების მონტაჟი კედელზე, ანკერებზე ჩამაგრებით (60*60) | $მ^2$ | 130 | 149,00 | 19 370,00 |
| 3 | თერმულად დამუშავებული გრანიტის ფილებით კიბეების მოწყობა (ხელობა) | გრძ.მ. | 64 | 56,00 | 3 584,00 |
| 4 | ბაქნის მოპირკეთება თერმულად დამუშავებული გრანიტის ფილებით (ხელობა) | $მ^2$ | 12 | 60,00 | 720,00 |
| 5 | თერმულად დამუშავებული გრანიტის ფილები | $მ^2$ | 44 | 220,00 | 9 680,00 |
| 6 | წებო-ცემენტი ( 1 $მ^2$-ზე 6 კგ) 244 $მ^2$ * 6 კგ | კგ | 1464 | 2,10 | 3 074,40 |
| 7 | წებო - გრანიტისათვის | კგ | 28 | 15,00 | 420,00 |
| 8 | ქვიშა | $მ^3$ | 8 | 69,00 | 552,00 |
| 9 | ცემენტი | ტონა | 2 | 296,00 | 592,00 |
| 10 | წყალდამწრეტი მილის შეფუთვა მავთულბადით და შელესვა | გრძ.მ. | 10 | 30,50 | 305,00 |
| 11 | სამშენებლო ნაგვის დატვირთვა ა/ თვითმცკლელზე ხელით და გატანა ნაგავსაყრელზე | $მ^3$ | 2,5 | 18,00 | 45,00 |
| | ჯამი | | | | **39 512,40** |
| | დღგ 18% | | | | **7 112,23** |
| | სულ დ ღ გ-ს ჩათვლით | | | | **46 624,63** |

**ქ. თბილისის მერია**

**ტარიელ ხიზანეიშვილი**
**ქ. თბილისის მერის მოადგილე**

**შპს "რონინი სიტი"**

**ეკატერინე მაზმიშვილი**
**დირექტორი**

**ქ. თბილისში, შსს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის I განყოფილების მშენებარე შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე რკინა-ბეტონის კიბისა და დროშების დასამაგრებლის მოწყობა**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქარგლის შეკვრა და რკინა-ბეტონის კიბის საფეხურების ჩასხმა | $მ^3$ | 14 | 258,00 | 3 612,00 |
| 2 | 4 და 2,5 სმ-იანი ბაზალტის ფილების ადგილზევე დამუშავება და დაგება ბეტონის საფუძველზე წებო-ცემენტის ხსნარით | $მ^2$ | 70 | 125,00 | 8 750,00 |
| 3 | ფოლადის 88,9 მმ-იანი და 76,1 მმ-იანი მილებისაგან 10 გ/მ დროშის დასამაგრებელის დამზადება და მონტაჟი | ცალი | 3 | 585,00 | 1 755,00 |
| | ჯამი | | | | **14 117,00** |
| | დღგ 18% | | | | **2 541,06** |
| | სულ დ ღ გ-ს ჩათვლით | | | | **16 658,06** |

**ქ. თბილისის მერია**

**ტარიელ ხიზანეიშვილი**
**ქ. თბილისის მერის მოადგილე**

**შპს "რონინი სიტი"**

**ეკატერინე მაზმიშვილი**
**დირექტორი**

159

# ხელწერილი

## ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 07 აპრილი, 2011 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ ქ. თბილისში, შსს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს I განყოფილების მშენებარე შენობის ფასადის ფრაგმენტების ბაზალტისა და გრანიტის ფილებით მოპირკეთების და შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე რკინა-ბეტონის კიბის მოწყობის სამუშაოებისსახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

*ქ. თბილისის მერის მოადგილე*

ტარიელ ხიზანეიშვილი -

*ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსი*

ალექსი თაბუაშვილი -

*ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე*

პაატა გობეჯიშვილი -

*ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი*

თორნიკე შიოლაშვილი -

*ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე*

ლევან ჩალაძე -

*ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების უფროსი*

*ირაკლი კვარაცხელია* –

*ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი*

*მურთაზ ხარჩილავა* –